

განათლების რეფორმები საქართველოში

ასანიძე ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების დოქტორანტი

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია, განათლების სისტემაში არსებული პრობლემების კომპლექსურობისა და აქტუალობის გამოქვეყნება. რეფორმის აუცილებლობა ყველამ აღიარა, მაგრამ გასათვალისწინებელია განათლების სფეროს სენსიტიურობა. ნაშრომში განხილულია განათლების სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტების პრობლემები, როგორცაა სწავლება - სწავლის პროცესი, აღზარდელი, მასწავლებელი და მისი მომზადების პრობლემები, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სირთულე სწავლების პროცესში, ინკლუზიური განათლება. ნაშრომი მოწოდებულია დასვას აქცენტები ყველა ამ პრობლემაზე, რათა საზოგადოებამ და პროფესიულმა პირებმა ერთობლივი ძალისხმევით გააუმჯობესონ განათლების სისტემაში არსებული ვითარება.

საკვანძო სიტყვები: სწავლა - აღზრდა; პიროვნების ფორმირება; პედაგოგიური ხელოვნება; ტრანსფორმაცია; სახელმწიფოს, საზოგადოების, ოჯახის როლი; პედაგოგი; მეთოდები; სწავლა-სწავლება; გაკვეთილი; ტექნოლოგია; პროგრესი.

სწავლა - აღზრდის საკითხები და პიროვნების ფორმირება ყოველთვის იყო და რჩება სახელმწიფოსა და საზოგადოების ზრუნვის საგანი.

ადამიანი არის ღვთის უნიკალური ქმნილება, რომლის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური, შინაგანი და გარეგანი ფაქტორები განაპირობებს. მათ შორის გადამწყვეტი ადგილი უკავია აღზრდის ფაქტორს, რომელიც ძირითადად სკოლაში ხორციელდება.

სკოლას, როგორც განათლების სისტემის მთავარ რგოლს, ტრადიციულად გააჩნია აღზრდის უსაზღვრო შესაძლებლობები თავისი უნიკალური პედაგოგიური სტრუქტურებისა და კომპონენტების სახით. მაგრამ სწავლა - განათლებისა და აღზრდის საკითხი სულ უფრო და უფრო პრობლემატური ხდება. პედაგოგიური და აკადემიური ჩამორჩენილობა, ასოციალურობა და ანტისოციალურობა დღითიდღე მასობრივ ხასიათს იღებს.

პედაგოგიური კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ აღზრდის მეცნიერება და სასკოლო პრაქტიკა ფაქტობრივად გამიჯნულია ერთმანეთისაგან (გ.ხუბუა, პიროვნების ფორმირების პედაგოგიური სისტემების ინტეგრაციისა და გამოყენების ტექნოლოგიები. პრემბულა. თბ., 2011)

შევეცდები მოკლედ შევეხო განათლებასთან დაკავშირებულ ზოგად პრობლემებს. ვისაუბრებ თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე, მასწავლებლისა და სკოლის როლზე პიროვნების ფორმირებაში.

ადამიანის აღზრდა-განათლება ხანგრძლივი და რთული პროცესია. ამ უწყვეტ ჯაჭვში საზოგადოების ყველა რგოლს თავისი განსაკუთრებული და უნიკალური ადგილი უკავია, მათ შორის მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი.

რა ხდება დღეს ამ სფეროში? არის თუ არა სათანადო დონეზე სასკოლო, პედაგოგიური საქმიანობა? რა ადგილი უკავია თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს? მიიღწევა თუ არა სასურველი შედეგი? რაში მდგომარეობს პრობლემა? სად წყდება ჯაჭვი?

ეს და სხვა უამრავი კითხვა გვაწუხებს ამ საკითხით დაინტერესებულ ადამიანებსა და საზოგადოებას.

ზემოთ უკვე აღვნიშნე და გავიმეორებ, რომ სწავლა-აღზრდის პროცესი ერთიანი ჯაჭვია. ის იწყება ოჯახიდან. ოჯახში მიღებული ცოდნა და ქცევა, კულტურა უცილობლად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდგომ პროცესებზე. ოჯახური გარემო, ზნეობრივი, მორალური ატმოსფერო ბავშვს ერთგვარ მოტივაციასა და განწყობას უქმნის შემდგომი მოვლენებისა და პროცესების მიმართ, რაც მის აღზრდა-განათლებასთან იქნება დაკავშირებული. ამიტომაც ვფიქრობ, აუცილებელია **მშობელთა/აღმზრდელთა პედაგოგიზაცია**. ასევე მნიშვნელოვანია **სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდოლოგიურად გამართვა**. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ სკოლაში ბავშვი უკვე მოდის გარკვეული ცოდნითა და უნარებით, თავისი შეხედულებებითა და წარმოდგენებით, და ის უნდა იყოს მზად თავისი ცხოვრების შემდეგი საფეხურისთვის. სადაც უკვე ერთგვარ სკოლა და მასწავლებელი.

რა ხდება ქართულ სკოლაში?

ბოლო პერიოდში ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა. ათწლეულების მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა თუ რყევებმა ქვეყანაში ბევრი რამ მოშალა და შეცვალა. გაჩნდა კერძო სკოლები, რომელიც იყო ერთგვარი პრეტენზია, რომ ისინი უკეთ შეძლებდნენ საზოგადოებისა და ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ბავშვთა აღზრდისა და პიროვნების ფორმირების საქმეში შედეგი მთლად სახარბიელო არ არის. მიზანი შედეგში რამდენად გადაიზარდა ყველა ვხედავთ. საკითხი ჯერაც აქტუალურია და საბედნიეროდ კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, რომელიც საჭიროებს სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას, ერთობლივ ზრუნვას, ყველას ჩართულობას, განსაკუთრებით სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ძალიან დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, რაც საერთაშორისო კვლევებშიც დასტურდება.

გადამწყვეტი როლი, სწავლა-აღზრდის და პიროვნების სრულფასოვნად ჩამოყალიბების საქმეში, უკავია **მასწავლებელსა და სკოლას**, პედაგოგიკური მეცნიერებებისა და განათლების ფსიქოლოგიის გონივრულად გამოყენებას, რომელიც კი არ მოშლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამ მნიშვნელოვან რგოლს: საკლასო-საგაკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობას, არამედ ხელს შეუწყობს მის დახვეწასა და ეფექტურობას. არ შეიძლება სკოლა და ბავშვი მუდმივი ექსპერიმენტების ქვეშ იყოს. ამით იმას არ ვამბობ, რომ ვეწინააღმდეგები ცვლილებებსა და სიახლეებს სკოლაში, არამედ იმის თქმა მსურს, რომ ხშირად ვივიწყებთ კარგად აპრობირებულ და შედეგზე გასულ მეთოდებს, კულტურულ

მემკვიდრეობას, ეროვნულ ტრადიციებს, კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას. სკოლა განიცდის ეგრეთწოდებული ახალი მეთოდების „შემოტევას“, მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგ-სემინარები, იბეჭდება საგანმანათლებლო ლიტერატურა, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ვახსენე „შემოტევა“, პროგრესის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ მასწავლებლები დადგნენ ახალი გამოწვევების წინაშე. რამდენად ახერხებენ, რამდენად შეძლეს ტრენინგების სიუხვის მიუხედავად, პრაქტიკაში მათი გამოყენება, თუ უფრო სერიოზულ პრობლემებს დავეჯახეთ მასწავლებლების კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რომელსაც ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი აქვს?!

თანამედროვეობამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უამრავი ახალი შესაძლებლობა შექმნა იმისათვის, რომ სწავლა-აღზრდის პროცესში გარკვეულ სრულყოფას მიაღწიოს საზოგადოებამ, განათლების სისტემამ. რა ხდება ამ კუთხით საქართველოში?

ვფიქრობ, ჩვენთან ერთგვარი წყვეტა მოხდა. რას ვგულისხმობ: დასამალი არ არის, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მასწავლებლის პროფესია ბოლო წლებში განსაკუთრებით არაპრიორიტეტულია. ასევე დასამალი არ არის, რომ დახვეწას საჭიროებს განათლების სისტემა, ხოლო ის გადამზადებები, რომელსაც შესაბამისი სტრუქტურები ატარებენ, მაიცდამაინც ვერ იძლევა სასურველ შედეგს. პედაგოგთა დიდი ნაწილი საჭიროებს საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის განვითარებას; მათ უბრალოდ უჭირთ ღრმად ჩასწვდნენ იმ საკითხებსა და სიახლეებს, რასაც ისმენენ და იღებენ, განსაკუთრებით კი უჭირთ მისი პრაქტიკაში დანერგვა. ამას ემატება ზოგიერთი ტრენინგის არაკომპეტენტურობა, მეორე მხრივ მშობელი არ არის მზად სრულყოფილი თანამონაწილე გახდეს ამ პროცესებში. მასწავლებელი დაბალკვალიფიციურია, თეორია და პრაქტიკა გამიჯნულია. პედაგოგიური წარმოდგენა ბუნდოვანია; მშობელი აღზრდისათვის მოუმზადებელია.

რა ხდება ასეთ ვითარებაში აღსაზრდელებში?

უფროსების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, არაკვალიფიციურ მიდგომასა და არასისტემურობას მოსწავლეების ფსიქიკაში შეაქვს ბუნდოვანება და იწვევს მათ დემოტივაციას. გარდა ამისა, მოსწავლეები უკონტროლოდ იყენებენ საინფორმაციო-ტექნიკურ საშუალებებს: კომპიუტერს, ინტერნეტს, მობილურს, რომელთა არამიზანშეწონილმა გამოყენებამ მეტნაკლებად უარყოფითი გავლენა იქონია მოსწავლეთა ფსიქიკაზე, მათი მორალური სახის ჩამოყალიბებაზე, აღარაფერს ვამბობ ჯანმრთელობაზე. აქედან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი პრობლემები: გაჩნდა ურთიერთობის დეფიციტი მშობელს, ბავშვსა და სკოლას შორის; აღსაზრდელებში დადაბლდა სწავლისადმი მოტივაცია, (მათ რაც აინტერესებთ ინტერნეტსა და მობილურში აქვთ და ნაკლებად სკოლაში, მასწავლებელთან); მასწავლებელი ვერ ეწევა მოსწავლეს (ვგულისხმობ ტექნიკის ფლობას ინფორმაციის სწრაფად მისაღებად), რომ ის ბავშვის „თანამოაზრე და მეგობარი“ იყოს.

პრობლემებზე ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მსჯელობენ, უამრავი რეკომენდაცია და თეორიაა, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

აღზრდის ფაქტორის თავისებურება, სხვა ფაქტორებისაგან განსხვავებით ის არის, რომ იგი მიმდინარეობს სპეციალურად ორგანიზებულ პედაგოგიურ პროცესში, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ-ობიექტურ კანონებს, პრინციპებსა და მეთოდებს. ამ პროცესს მართავს ოფიციალური პირი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება და აღჭურვილია სწავლებისა და აღზრდის თეორიით, ფლობს პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას და მისი პედაგოგიური სიტუაციების შესაბამისად პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევებს, პედაგოგიურ ოსტატობას.

როგორც ცნობილია, პიროვნების ფორმირების პროცესი მოიცავს სხვადასხვა *ერთმანეთთან დაკავშირებულ პედაგოგიურ სისტემებს, ქვესისტემებსა და პედაგოგიურ კომპონენტებს*. რომელიმე კომპონენტის, როგორც ჩაშლა დამლუპველია მთლიანი პროცესისათვის.

სკოლაში, საზოგადოებაში, ოჯახში, სადაც წესრიგი, ერთიანობა, თანხმობა და ჰარმონია არ არის, იქ არის ქაოსი. ამიტომ თქვა პედაგოგიკის კლასიკოსმა კომენსკიმ, რომ „წესრიგია არსებულთა სული“.

ამგვარი წესრიგის მისაღწევად, მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს პედაგოგიკური და მოსაზღვრე მეცნიერებების მიღწევებით და პედაგოგიური ხელოვნებით („პედაგოგიურ ხელოვნებაში“ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა იგულისხმება), უნდა შეეძლოს საგნებისა და მოვლენების „შიგა და შორისი“ კავშირების კოორდინირება, პედაგოგიური სიტუაციების დროისა და სივრცის დიმენსიონების შესაბამისად და სკოლა გადაიქცევა „სულიერ სამოთხედ“, ვიტორინო დე ფელტრეს „სიხარულის სკოლად“. პედაგოგიური ხელოვნება სწორედაც რომ გულისხმობს ნებისმიერ სიტუაციასთან მასწავლებლის „ტრანსფორმაციას“.

ამის მისაღწევად პედაგოგს ბევრი შრომა და გამოცდილება სჭირდება. წარმოვიდგინოთ ახალბედა კარგი მასწავლებელი და გამოცდილი კარგი მასწავლებელი, რომელი უფრო მოახერხებს ტრანსფორმაციას? ვფიქრობ, აქ ლომის წილი პედაგოგიურ გამოცდილებას ენიჭება, რადგან გაკვეთილი ერთი მსახიობის თეატრს ჰგავს, მუდმივი რეპეტიციებითა და სპექტაკლებით მისი ოსტატობა იხვეწება და მაღლდება. ასევეა მასწავლებლებშიც. ახალგაზრდების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მიმაჩნია მას გვერდში უნდა ჰყავდეს გამოცდილი პედაგოგი, რომელიც მას მუდმივად უზიარებს გამოცდილებას.

ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ მსჯელობდნენ და წერდნენ *სწავლა - სწავლების* საკითხებზე. სხვადასხვა პედაგოგიკურ ლიტერატურაში სასწავლო პროცესის აღმნიშვნელად მოხსენიებულია ცნება „მეცადინეობა“. 1-ლი საუკუნის რომაელი პედაგოგ-მეცნიერი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე თავის პედაგოგიურ ტრაქტატში „ორატორის დარიგებანი“ არაერთხელ ახსენებს თანატოლთა შორის სწავლაში შეჯიბრების პროცესს, ჯგუფურ და კოლექტიურ მეცადინეობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, სადაც გამარჯვებული დამარცხებულს ეხმარებოდა შემდგომ შეჯიბრებაზე გამარჯვებისათვის მომზადებაში. სიტყვებში: „თანატოლთა“ და „შეჯიბრება“ უკვე ჩანს კლასი თანამედროვე გაგებით. მოიხსენიებს სიტყვა „გაკვეთილს“. ის წერს:“ მოწაფეებს განსაკუთრებით გვიყვარდა

მჭერმეტყველების გაკვეთილიო“. (მ.ფ. კვინტილიანე, „ორატორის დარიგებანი“, წგ-ნი I, სანკტ-პეტერბუგი, 1834, გვ. 22, 23. ნიკოლსკის თარგმანი).

საკლასო-საგაკვეთილო სისტემამ განვითარების პიკს მიაღწია მე-17 საუკუნის ჩეხი პედაგოგის იან-ამოს კომენსკის „დიდ დიდაქტიკაში“. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი გაკვეთილს თვლიდა მოძველებულ ფორმად და შეეცადა მის შეცვლას, მაგრამ მისი უნიკალურობის გამო, დღემდე ვერავინ მოახერხა რაიმე უკეთესი ფორმის შემოთავაზება.

პროფესიონალი მასწავლებლის მახასიათებლებიდან, ერთ-ერთი და არა ართადერთი სისუსტე ჩვენი პედაგოგებისა ის არის, რომ აკლიათ (არა ყველას) სიახლის შეგრძნების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შემოქმედებითად ათვისებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკაში დანერგვის უნარი.

მთელს მსოფლიოში განსაკუთრებით მომრავლდა თანამედროვე *საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები*: ტელევიზია, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი თავისი ინტერნეტით, რაც იქცა ადამიანთა უმეტესობის ცხოვრების აზრად.

რა დადებითი და უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ახალ ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ პროგრესს სწავლა-აღზრდის საქმეში?

მეცნიერებებისა და ხელოვნების კონკრეტული დარგების განვითარებამ ჯერ კიდევ XVII საუკუნის საფრანგეთში დაბადა კითხვა: “განაპირობა თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნეობის გაუმჯობესება ან გაუარესება?” რომელსაც პედაგოგიკის კლასიკოსმა ჟან-ჟაკ რუსომ გაბედული პასუხი გასცა თავის ნაშრომში, რომ „ცივილიზაციის განვითარების შედეგად ადამიანი თანდათანობით მოწყდა ბუნებას, დაკარგა ბევრი ადამიანური თვისება სიკეთე, უშუალოება და გაიძვერა და მონად იქცა“. ამავდროულად, კლასიკოსი იქვე მიუთითებს ჭეშმარიტი მეცნიერებისა და ხელოვნების დადებით მხარეებზე, მის პროგრესულ გარდამქმნელ ძალაზეც, სადაც მისი გამოყენების კულტურასა და მიდგომის ოპტიმალურობაზეა ყურადღება გამახვილებული.

ცხადია, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებმა განაპირობა ტექნიკური პროგრესი, რომელსაც აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ზემოქმედება ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ მორალზეც. ხოლო მორალის გარეშე კი, როგორც მოგეხსენებათ, სამართლიანობაზე, ბედნიერ და მშვიდობიან ცხოვრებაზე, დემოკრატიაზე, ჰუმანიზმზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია.

არ შეიძლება ტელევიზიის შემეცნებითი, ეთიკური და ესთეტიკური ფუნქციის უგულებელყოფა. იგივე ითქმის დროისა და სივრცის შეუზღუდავ საკომუნიკაციო (და არა მარტო საკომუნიკაციო) საშუალებებზე - კომპიუტერზე, ინტერნეტზე, მობილურ ტელეფონებზე, მათ უნიკალურ დადებით შესაძლებლობებზე, რომელიც იძლევა უსაზღვრო შესაძლებლობას დროისა და სივრცის შეუზღუდავად მივიღოთ, გადავცეთ ან გავავრცელოთ ნებისმიერი ინფორმაცია. ინტერნეტკომუნიკაცია არის ამის თითქმის უალტერნატივო საშუალება. *პრობლემა მისი გამოყენების კულტურაშია*. თუ არ გავითვალისწინებთ მის უარყოფით მხარეებს და არ გავფრთხილდებით, შეიძლება დამანგრეველი, ფსიქიკურად და ზნეობრივად გამანადგურებელი გავლენა მოახდინოს ბავშვებზე, მოზარდებზე. ხშირად

მოზარდების ცნობისმოყვარეობის, მიმბაძველობის თანდაყოლილი უნარის წყალობით, ტელევიზიებისა და ინტერნეტით უხვად მომდინარე ძალადობა მათ მიერ აღიქმებოდეს როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. გავლენა კი იმდენად ძლიერი აღმოჩნდეს, რომ მოზარდებში გამოიწვიოს მორალურ-ემოციური ზიანი. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გამოიწვია ახალგაზრდების (არა მარტო მათი) მიჯაჭვულობა. სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ის თითქმის ჩაენაცვლა ყველა სხვა საშუალებებს. „მხარდამჭერთა წყალობით, დღეს ის გაცილებით დიდ გავლენას ახდენს კულტურაზე, ვიდრე ოპერა, ბალეტი, თეატრი, მუსიკა და სახვითი ხელოვნება ერთად აღებული“ - წერს პუბლიცისტი ჯერმეინ გრირი. ადამიანური ურთიერთობები ჩაანაცვლა ვირტუალურმა, გაღრმავდა გაუცხოვება და კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დადგა ეგზისტენციალური პრობლემები.

ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი მობილური ტელეფონი, უმეტეს შემთხვევაში, მიზეზი გახდა ბევრი ისეთი პრობლემის, როგორცაა: სასწავლო პროცესის ჩაშლა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის გაფუჭება, აკადემიური ჩამორჩენა, დროის ფლანგვა, რასაც ემატება გარკვეული ზიანი მოზარდის ჯანმრთელობის, ფსიქიკისა და ნერვული სისტემის. როგორც მაკალპენი ამბობს: „საზოგადოება იმას ისიხლხორცებს, რითაც მის გონებას კვებავენ.“ ეს პრობლემები არა მხოლოდ მასწავლებლების და მშობლების, არამედ მთელი საზოგადოების შემფოთებას იწვევს.

რაშია გამოსავალი?

სპეციალისტების მხრიდან უამრავი შემოთავაზება არსებობს: ახსნა-განმარტებები, აკრძალვა, ტელევიზორებისა და კომპიუტერების თვალსაჩინო ადგილზე დადგმა, სასრგებლო, სოციალურად ღირებული შრომითი და შემეცნებითი საქმიანობა, სპორტით დაკავება, ბუნების წიაღში სეირნობა, ექსკურსია, ტურისტული ლაშქრობები, სხვადასხვა საღამოები და ა.შ. მაგრამ ეს საკმარისია?! განა შესაძლებელია ბავშვის, მოზარდის და ზოგადად ადამიანის ფიქრები, სული და გული აკონტროლო?! ეს კიდევ სხვა საუბრის თემაა.

დავუბრუნდეთ მასწავლებელსა და მოსწავლეს. თუ მასწავლებელი, თავისი მოსწავლეების მსგავსად, არ იქნება გახსნილი ტექნიკის და ზოგადად სიახლეებისადმი, არ შეეცდება მანაც მიიღოს იგივე სარგებელი ამისგან, მიიღოს ელვის სისწრაფით ცვალებდი და განახლებადი ინფორმაციები, მუდმივად არ იზრუნებს საკუთარ განვითარებაზე, ყოველთვის ექნება პრობლემა ურთიერთობებში მოსწავლეებთან და შესაძლებელია კონფლიქტური დაპირისპირებებიც, ხოლო თვითგანვითარებაზე მზრუნველ მასწავლებელს შეუძლია არა მარტო კეთილგანწყობილი, მეგობრული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან, არამედ მოსწავლეებში ტექნიკის სწორად მოხმარების კულტურის განვითარებას და მის პოზიტიურ გამოყენებას შეუწყოს ხელი. ამისთვის, რა თქმა უნდა, სკოლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა აუცილებელია.

ამ პრობლემების მოგვარება, უპირველესად მოითხოვს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პედაგოგების ადეკვატურ ქმედებებს. რეალურ და არაფასადურ მუშაობას პედაგოგიური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაში. ამისთვის

საჭიროა *პედაგოგების მომზადება*, აქაც პრობლემაა. უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგების მომზადებას ალბათ ურო სხვაგვარი მიდგომები სჭირდება. მალე პედაგოგი, ნამდვილი მნიშვნელობით, დეფიციტი გახდება სახელმწიფოსა და საზოგადოების არასწორი მიდგომის გამო. მასწავლებლის პროფესია უნდა გახდეს პრესტიჟული, მათი მომზადება პრიორიტეტული, მასწავლებელი - ავტორიტეტი. ამაზე ყველამ უნდა იზრუნოს, რადგან არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მასწავლებელი არ ჰყოლია ან არ ეყოლება, უნდა დავინახოთ მასწავლებლის უდიდესი როლი ბავშვის აღზრდა- განათლების საქმეში. ეს რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

ზემოთჩამოთვლილი კითხვები არასრულია და არ მოიცავს ყველა პრობლემას. შეუძლებელია არ შევხებო *ინკლუზიურ განათლებას*, რომელმაც სკოლა და მასწავლებელი ახალი, ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა.

მივესალმები, რომ სახელწიფო შეუერთდა მსოფლიო თანამეგობრობას, შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის საკითხს, რომელიც გამყარებულია 2006 წლის გაეროსა და 1994 წლის სალამანკას ხელშეკრულებით „განათლება ყველასათვის“ დოკუმენტებით. მსოფლიოს თანამეგობრობის წევრობა მოიაზრებს ამ დოკუმენტებში ასახული ღირებულებებისა და პასუხისმგებლობების გაზიარებას, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მეტად ტოლერანტულები ვიყოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ გარემო მათთვის იყოს ბუნებრივი. ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა საკითხის სიღრმისეული წვდომა, მისი პოპულარიზაცია, ყველა მიმართულებით საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა. არა მარტო პედაგოგების, არამედ მშობლებისა და საზოგადოების განათლება და მომზადება ამ კუთხით, რომლებიც, მსუბუქად რომ ვთქვა, დაბნეულები არიან. უფრო მეტიც, მშობლები მალავენ პრობლემას, რცხვენიათ და ცოდნის სიმცირის გამო აფერხებენ საკუთარი შვილების სწორად განვითარებას.

საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვა სამთავრობო პრიორიტეტსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს.

როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა?

ვის ხელეწიფება ეს საქმე?

ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარების ერთობ „მარტივი“ და არაკომპეტენტური გზა იქნა არჩეული. ხელაღებით დაიხურა სპეციალური სკოლები თავისი მეტნაკლებად გამოცდილი კადრებითურთ, და მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების საჯარო სკოლებში ინტეგრირება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლასა და აკადემიურ წინსვლას სკოლის მხრიდან ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება განაპირობებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც აღწერს, თუ როგორ უნდა ჩაერთოს მოსწავლე საერთო სასწავლო პროცესში, განსაზღვროს ამ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და მოთხოვნილებები, შესაძლებლობები. ვინ უნდა შეისწავლოს, შექმნას, ასწავლოს და მონიტორინგი გაუწიოს ყველაფერ ამას? მით უფრო, რომ სკოლებში აღარ არსებობს ფსიქოლოგის სამსახური, არ არის

სპეციალური მასწავლებელი და არ არის მათზე მორგებული ინფრასტრუქტურა. ითარგმნა შესაბამისი ლიტერატურა, არის გარკვეული მცდელობები სახელმწიფოს, კერძოდ კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, მაგრამ მხოლოდ თეორიულ დონეზე. პრაქტიკა და ცოდნა მასწავლებლებში მხოლოდ ინტუიციის დონეზეა. ხოლო შედეგი თვითონ განსაჯეთ... უცხოეთშიც, პირველ ხანებში ინკლუზიური განათლების დანერგვა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. პირველ ხანებში ხარისხი დაბალი იყო და მექანიკურ ჩართვას ემსგავსებოდა, მაგრამ დამლიეს შესაძლებლობის ფარგლებში. იზრუნეს და კვლავ აგრძელებენ ამაზე ზრუნვას. თუ გარემო არ იქნება, საზოგადოება არ იქნება ადაპტირებული და დაინტერესებული, მხოლოდ მასწავლებლებისა და სკოლის პასუხისმგებლობა ცოტა არასერიოზულად მეჩვენება.

მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, პანდუსების არარსებობა, რესურს ოთახებისა და სპეციალური მასწავლებლების არარსებობა, ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების დახმარების ხელმიუწვდომლობა, საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება, მასწავლებლების მოსამზადებელი კურსები, ვაუჩერიზაცია, სახელმძღვანელოები და სხვა საკითხები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ.

კეთილი ნების შემთხვევაში ჩვენც შეგვიძლია ნაბიჯნაბიჯ მივაღწიოთ წარმატებებს.

მცირე ექსკურსს გავაკეთებ, ე.პარკესტერის მიერ შემოთავაზებული იყო ე.წ. დალტონ გეგმა, რომელიც უკიდურესად ინდივიდუალიზებული იყო და გამორიცხავდა ჯგუფურ და მითუმეტეს კოლექტიურ სწავლებას. იგი ეფუძნებოდა მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების უთანასწორობის პრინციპს, რომელიც თითქოს მემკვიდრეობით იყო განპირობებული და მათი ბედი უკვე გადაწყვეტილია. ამ უკიდურესობას დაუპირისპირდა ეგრეთწოდებული ინკლუზიური განათლება, რომელიც შემოიფარგლა ისევ ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებული კეთილი სურვილებით, მოწოდებებით, სენტენციებით ყოველგვარი პედაგოგიური კანონებისა და კანონზომიერებების, არგუმენტირებული მტკიცებების გარეშე.

აღარ შევხები მართლა გონებრივად შეზღუდულ შესაძლებლობებს, თანდაყოლილ ან შეძენილ ფსიქიკურ თუ ფიზიკურ დეფექტს. ეს პრობლემა უფრო სპეციალური პედაგოგიკის - დეფექტოლოგიის დარგების - სურდოპედაგოგიკას ანუ ყრუმუნჯთა პედაგოგიკას, ტიფლოპედაგოგიკას ანუ უსინათლოთა პედაგოგიკას, საკორექციო, პრევენციულ და კომპენსაციურ პედაგოგიკას, ეს მათი ზრუნვის საგანია. რაც შეეხება მორალურ დეფექტს, ეს როგორც ცუდი აღზრდის შედეგი, ძირითადად ჩვეულებრივი პედაგოგიკის ობიექტია. *პედაგოგიკის მეცნიერებაში ეს უკვე გარკვეული და ფუნდამენტურად დამუშავებული თემაა. პრობლემა მხოლოდ მის შეუფასებლობაშია.*

ისტორიზმისა და მემკვიდრეობითობის ლოგიკას მოკლებულმა გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა, დიდი ზიანი მიაყენა აღზრდასაც და მის მეცნიერება - პედაგოგიკასაც.

პედაგოგიკა ყველაზე დიალექტური, განვითარებადი, დინამიური და ლოგიკური, საყოველთაო და პერმანენტული მეცნიერებაა თავისი მყარი გვართა და ძირით, კვლევის განსაზღვრული საგნით - აღზრდით, აღსაზრდელით - ობიექტ/სუბიექტით,

მიზნით - აღსაზრდელის ჰარმონიულად - გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად და შრომითი უნარების განვითარებით, საკუთარი ტექნოლოგიებით, კვლევის მეთოდებით, აღზრდის ობიექტური კანონებით, პრინციპებით და ორგანიზაციის ფორმებით, რომელსაც აქვს განსაზღვრული ცოდნის წყაროები და, რაც მთავარია, ჰყავს ამ თეორიის პრაქტიკული რეალიზატორი, უცვლელი აღმასრულებელი, ამ საქმის დიდოსტატი, ყველაზე ოფიციალური პირი - მასწავლებელი (გ.ხუხუა, პიროვნების ფორმირების პედაგოგიური სისტემების ინტეგრაციისა და გამოყენების ტექნოლოგიები. პრემბულა. თბ., 2011).

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველაფერზე საუბარი, ეს არც არის ჩემი მიზანი. ჩემი სურვილი იყო კიდევ ერთხელ დაგვეჩვენა განათლების სისტემაში არსებული პრობლემების კომპლექსურობა და აქტუალობა. რეფორმის აუცილებლობა ყველამ ვაღიარეთ, მაგრამ გასათვალისწინებელია განათლების სფეროს სენსიტიურობა. სწორედ ამ მგრძობელობაშია სირთულე. სწორედ ამიტომაც საჭირო კომპეტენტური აღმზრდელები და მასწავლებლები, რომლებიც იგრძნობენ თავიანთი აღსაზრდელების პულსაციას და ადეკვატურად იმოქმედებენ. თუ იდეალიზმში არ ჩამომართმევთ, მთელს ქვეყანას გადავაქცევდი ერთ დიდ პედაგოგიურ სასწავლებლად.

იმდენად მრავაწახნაგოვანი და რთულია ეს სფერო, თითქმის შეუძლებელია განათლების სისტემის სრული გამართვა, თუმცა იდეალურისკენ სწრაფვა სასურველი და შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ., 2008;
2. ვისწავლოთ ერთად. იკლუზიური განათლება. თბ., 2008;
3. ზაალიშვილი ნ., პედაგოგიური ურთიერთობა. თბ., 2003;
4. თერნბული ჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. თბ., 2009;
5. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. თბ., 2010;
6. მარზანო რ. ჯ. ეფექტური სწავლება სკოლაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ., 2009;
7. მეცნიერება და სკოლა. სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებული. თბ., 1996;
8. სელესტენ ფრენე, პედაგოგიური ინვარიანტები. თბ., 1996;
9. მ.ფ. კვინტილიანე, "ორატორის დარიგებანი";
10. გულნაზ ხუხუა, პიროვნების ფორმირების პედაგოგიური სისტემების ინტეგრაციისა და გამოყენების ტექნოლოგიების თანამედროვე ტექნოლოგიები. თბ., 2011;